ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №5

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

04.04.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გელა ღვიტიძე, კობა ტოხვაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე - **გელა კაშია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი- **თამარ ადეიშვილი.**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ივანე მამფორია

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

მომხს.: გელა კაშია

სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ";

მომხს.: გელა კაშია

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: გელა კაშია

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: გელა კაშია

6. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გელა კაშია

7. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

8. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის მარტის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: გელა ჩიკვაიძე

9. ვანის მუნიციპალიტეტში მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: თამარ ადეიშვილი

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ალექსანდრე ლილუაშვილი

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2023 წლის 4 აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია ბიუჯეტის საკუთარი სახსრების ნაწილში პროგრამებს შორის თანხის გადანაწილების საჭიროებით, სახელმწიფო დროშის ნაგებობის მოწყობისა და ქ.ვანის N2 საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშაოებისათვის საჭირო თანხის მობილიზების მიზნით.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, 25,0 ათასი ლარით იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები, 15,0 ათასი ლარით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა და 40,0 ათასი ლარით მცირდება გზების რეაბილიტაციის პროგრამა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმადგინა დადგენილების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის

ფორმების დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევების საქმისწარმოების პროცესში აუცილებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებას - როგორებიც არის ,,მითითება", ,,შემოწმების აქტი", ,,უწყება", ,,დათვალიერების ოქმი" ,,ბრძანება უნებართვოდ/ნებართვის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის შეჩერების შესახებ", ,,ბრძანება უნებართვოდ/ნებართვის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის დემონტაჟის შესახებ", ,,ბრძანება სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ", ,,ბრძანება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ", ,,სააღსრულებო ფურცელი" შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ"

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ";

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც ზედამხედველობის სამსახურს შეუძლია საჯარიმო ქვითრის გამოწერა. დადგენილებით მტკიცდება ,,საჯარიმო ქვითრის--ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი"-ს ფორმა, საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, ასევე დაზიანებული საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის ფორმა და სააღსრულებო ფურცლის ფორმა.

აღნიშნულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებით განსაზღვრული საჯარო მოხელეები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ „ცვლილება გულისხმობს დადგენილების პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის ის მუხლები, რომლებზეც

ზედამხედველობის სამსახურს შეუძლია საჯარიმო ქვითრის გამოწერა და რომელი მუხლებიც მოიცვა ახალმა დადგენილებამ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „დადგენილების პროექტის მიხედვით „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი" (შემდგომში – წესი) არეგულირებს, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრქციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილებით დეტალურად განისაზღვრა ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელეების ფუნქციები სამშენებლო და ადმინისტრაციულ სამართალდაღვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა - ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი იქნა 2023 წლის 6 თებერვალს. იგი განხილული იქნა ხუთივე კომისიის, ფრაქციისა და ბიუროს სხდომებზე.

2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა 18434,6 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 18633,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,1% -ს შეადგენს.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი 21413,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 95,0%, 20340,7 ათასი ლარი შეადგინა.

3706,3 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 3699,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,8%-ია.

ინფრასტრუქტურის განვითარების (02 00) 2022 წლის ასიგნებების მოცულობა 11440,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პეროიდში გაწეული ხარჯი 10493,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 91,7%-ია.

დასუფთავება და გარემოს დაცვის (03 00) პროგრამებზე 2022 წელს გეგმით 645,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 644,6 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 99,9%-ია.

განათლების სფეროს (04 00) 2022 წლის ასიგნებების მოცულობა 2831,7 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 2741,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 96,8%-ია.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სფეროს (05 00) საბიუჯეტო პროგრამების ჯამური საკასო ხარჯი 1754,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 1771,6 ათასი ლარის 99,0%-ს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის (06 00) 2022 წლის ასიგნებების მოცულობა 952,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პეროიდში გაწეული ხარჯი 942,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,0%-ია.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის (07 00) პროგრამაზე 2022 წელს გეგმით 66,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 64,3 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 97,4%-ია.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ ანგარიში საკრებულოში შემოსულია ვადების დაცვით, განხილულია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე და ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომაზე. შენიშვნები არ გვაქვს. შემოვდივარ წინადადებით, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (დანართი თან ერთვის).

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის მარტის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის 2023 წლის 03 აპრილის N65-65230935 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს მარტის თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდასსორმოცდაოთხი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ადეიშვილმა წარმოადგინა ,, ვანის მუნიციპალიტეტში მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა:

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასების სხვადასხვა სფეროს, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან და, ასევე, გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულებისა და 2022 წლის საქმიანობის გეგმის შესაბამისად. შიდა აუდიტის

შეფასება, რათა დროულად გამოავლინოს არსებული პრობლემები და მოახდინოს მათი უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია.

შიდა აუდიტის სამსახურის ხედვა მიმართულია მერიაში ძლიერი შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვისაკენ, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტურ, ეკონომიკურ და ეფექტიან ხარჯვას.

შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო სამი აუდიტორული შემოწმების განხორციელება. კერძოდ:

1. ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერია- „ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამის კოდი 02 01))
3. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელდა 1 ობიექტის - ა (იპ) ვანის კომუნალური გაერთიანება აუდიტორული შემოწმება.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვა

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ბიუჯეტის დაგეგმვის, გაერთიანების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაციისა და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენის სისტემური ხასიათის ხარვეზები.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა -შენახვის ხარჯები

აგვისტოს თვეში 111,8 ლარის 65 ლიტრი დიზელის საწვავი და ნოემბრის თვეში 284,8 ლარის 160 ლიტრი დიზელის საწვავი ჩამოიწერა არასწორად. დაწესებულების მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას საწვავის გაცემისა და ხარჯვის ყოველდღიური კონტროლის პროცედურებზე. რაც ზრდის საწვავის არარაციონალურ ხარჯვას და გაერთიანების კუთვნილი ქონების დაზიანებისა და დაკარგვის რისკებს.

ინვენტარიზაცია და ცვეთა

ნაგავმზიდ მანქანებს ზედმეტად დაერიცხა ცვეთა 5 828,00 ლარი, ნისან-გაბსტარს 624,00 ლარი, ხოლო ასენიზაციის მანქანას 192,00 ლარი. დაწესებულების მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას ცვეთის დარიცხვის პროცედურებზე და ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენის პროცედურებზე.

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებულია არასრულყოფილად, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არ შეიცავს იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით. დაწესებულების მიერ დანერგილი შიდა

თავიდან აცილებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისა და ხელშეკრულებების შესრულების/ფაქტიურად გადახდის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დროულად ასახვის პროცედურებზე.

ზოოვეტერინარის მომსახურეობა

ზოოვეტერინარის მიერ მომსახურების თანხის გაერთიანების ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, რაც ზრდის ფინანსური შეუსაბამობის რისკებს. დაწესებულების მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას ზოოვეტერინარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურების გაწევისა და მომსახურების თანხის ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხვის პროცედურებზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ,, ვანის მუნიციპალიტეტში მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ალექსანდრე ლილუაშვილმა წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა წარმოადგინა საკრებულოს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
3. ქალაქ ვანის ქუჩებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ;
4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ;

მოსამენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ;
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ;
5. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ;
6. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე;

დაცვის განყოფილების ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა დაატკიცეს საკრებულოს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

დღის წესრიგის მე-11 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 5 აპრილის საკრებულოს რიგგითი სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე